№ 13

ოთხშაბათი, 19 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 13

ოთხშაბათი, 19 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

იულია ალექსანდრეს ასული, ეგნატე და ივანე ონისიმეს ძენი იოსელიანები და თავადნი ელენე იოსების ასული და დავით დიმიტრის ძე ციციანოვები აუწყებენ გარდაცვალებასა —პირველი მაზლისას, მეორენი ძმისას და მესამენი სიძისას,

ექიმის გიორგი ონისიმეს ძის იოსელიანისას

და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ მისის გვამის გასვენებაზედ დასასწრებლად. მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს, 20 იანვარს, დილის 9 საათზედ, საკუთარის სახლიდამ ბაგრატიონის ქუჩა, № 4, ანჩისხატის ტაძარში.

პანაშვიდი გადახდილ იქმნება ყოველ დღე დილით 12 საათზედ და საღამოთი 7 საათზედ. (2—260—2)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ალლუმი

კომედ. 4 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი მ. აბაშიძე და ქ. მესხი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^{1}/_{2}$—12 საათ.

ე. პ. გაუდელინი. 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ბუგა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—77)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი $1—1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. გურკო. $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^{1}/_{2}$ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პორუჩიკი თავადი დადიშქელიანი—ქუთაისის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ებოძა პოდპორუჩიკობა ფოთის სარეზერვო რაზმის პოდპრაპორშჩიკს აბესაძეს.

გადაყვანილ იქმნა ჩერნიაკოვ-ანდიჟანის ნაწილის ფოსტალიონი სერაფიონ ბუჩულაძე—ტფილის-ყარსის გზაზედ.

გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენის ძალით ტფილისის სახაზინო პალატის მდივანი კონსტანტინე დიმიტრის ძე თეთრაძე.

## ახალი ამბავი

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგში 10 იანვარს ჩასულა.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს ბასსორსა და მესოპოტამიის სხვა ადგილებში ხოლერამ იჩინა თავი, მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ეხლავე იქმნას კავკასიაში მიღებული ზომები ხოლერის შემოსვლის წინაამდეგ.

*** გუშინ ვწერდით მკურნალ იოსელიანის მოკვლის ამბავს. აი ეს ამბავი როგორ მომხდარა: „14 იანვარს, დილის 11 საათზედ, ფერშალი, გვარად ზავიალოვი, მკურნალთან მისულა და რაღაც ქაღალდები გადაუცია. როდესაც იოსელიანი ქაღალდებს კითხულობდა, ფერშალმა ბებუთი ამოიღო და მოულოდნელად გულში დასცა. შემდეგ 20 ადგილას კიდევ დასჭრა. როდესაც გამომძიებელი შეეკითხა, რად მოჰკალიო, ფერშალს უთქვამს: „იმიტომ რომ დამცინოდა, შენიშვნას მაძლევდა—წამლებს ცუდათ ამზადებო". განსვენებულის გვამი გუშინწინ მოასვენეს ტფილისში. დარჩა განსვენებულს ცოლი და სამი მცირე წლოვანი შვილი.

*** შაბათს, 15 იანვარს, მეორედა ჰქონდათ კრება „ტფილისის კრუჟოკის" წევრებს. პირველ კრებაზედ არჩეულ იქმნენ „კრუჟოკის" მამასახლისები, ხოლო მეორეზედ მათი კანდიდატები. მამასახლისად არჩეულ იქმნენ: ფ. ა. შიმანოვსკი, მ. ვ. მელიორანსკი, ა. ი. ჩეხოვსკი, ო. კ. შჩერბოვიჩ-ვეჩორი, ა. ნ. ვოლკოვი, კ. ნ. ჩიკალინი, კ. ლ. ლებერმანი, მ. ვ. ლუნკევიჩი, ნ. ფ. აგაპიევი, ნ. ა. მარკსი და ა. ა. პრისელკოვი; ხოლო კანდიდატებათ: მ. დ. ელჩუკოვი, ვ. ა. ბერგი, ა. ა. კოზიულკოვი, ვ. ნ. ჩიკალინი, ა. ვ. საგინაშვილი, კ. ვ. დოლგოვი, ფ. ი. ხოდოროვიჩი, ი. ე. გამყრელიძე, მ. პ. პსაროვი, ე. გ. ვეიდენბაუმი და ე. ლ. ვედენეევი.

*** სათუხარლოში, სოფელ ახალქალაქის მახლობლად, ადგილობრივ მემამულეს თავ. ვ. ა. თარხან-მოურავს განუზრახავს ყველის საკეთებელი ქარხნის გამართვა. ქარხანა ამ

## ფელეტონი

### უკანასკნელი ყაჩაღი

მოთხრობა ე. არენისა

I

მთელი ზაფხული სძინავს აიაჩჩიოს *) მზის გახურებულს სხივებს ქვეშ. მოახლოვდება თუ არა შუადღე, ყველანი საჩქაროდ თავს ანებებენ ქუჩებს და სახლებში იმალებიან, ამ დროს ქალაქი ამოწყვეტილსა ჰგავს. დაცარიელებულს ქუჩებზედ და მზისაგან ამომწვარ, გაყვითლებულს ქვაფენილზედ იშვიათად სადმე შეგხვდებათ დაჩრდილული ადგილი და ისიც რომელისამე ყავახანის წინ-თუ. იშვიათად გაივლის ამ დროს რომელიმე თავზედ ხელ-აღებული მოქალაქე, რომელიც უეჭველია რაიმე ფრიად საჭირო საქმეს გამოუგდია გარეთ. გაქანებული მიეშურება სადღაც, ხელში უშველებელი ქოლგა უჭირავს და წამის-წამ ხვირთქლად გადმონადენს ოფლს იწმენდს შუბლიდან; ყველგან ფანჯრების დარაბები მაგრად მოუხურავთ; დუქნებ წინ გაშოტილს ძაღლებს გამოუყვიათ ენა და ქაქანებენ, ნავთ-სადგურში, სადაც ყოველივე მოძრაობა შეწყვეტილია, დამშვიდებულს ზღვას ოქროსფრად გააქვს ლაპლაპი. ქალაქში სამარისებრივი სიჩუმე სუფევს, რომელსაც ბუნების ბზუილი, ან კიდევ ყაზარმის საათის ჩახა-ჩუხი თუ დაარღვევს, ხანდახან მოისმის ქუჩების მოსარწყავ კასრის რიხინი და ისევ ყოველივე მიყრუვდება ხოლმე.

ხუთი საათი-კი რომ შესრულდება, სურათი იცვლება. ქალაქი იღვიძებს, მოძრაობაში მოდის. მოხელეები თავს ანებებენ მუშაობას, ჰკეტავენ კანტორებს და გამოდიან გარეთ, ბავშვები სასწავლებლებიდგან ბრუნდებიან. ზღვის გამაცოცხლებელი ნიავი დაიძვრის ხოლმე ამ დროს და ნაზად, ნელ-ნელა არხევს და ეალერსება ფორთოხლის ხეების წვეროებს. ეს დრო მეტად სასიამოვნოა ყველასთვის, ყველა გატაცებით მხიარულობს, იცინის, ჰმღერის და სტკბება ბუნების სიმშვენიერით; ლამაზი, კოპწია ქალები გამოდიან სასეიროდ, თან მოსდევენ ყმაწვილი კაცები; ყავახანების წინ ტერრასები **) ივსება ხალხით; მოედანი და თავი ქუჩა სავსეა მოსეირნე ხალხით. ქვევით, ნავთ-სადგურში, ზღვაოსნები ჰშლიან და ამაგრებენ ნავებზედ იალქნებს; ქუჩების მოსახვევებში ცივის წყლის მყიდავებთან შეჯგუფულა ხალხი, ზოგი მათგანი სიამოვნებით ყურს უგდებს რომელსამე მეტად გავრცელებულს ვალსს, რომელსაც მეხანიკურს პიანინოზედ უკრავენ.

ერთხელ, შარშან, ზაფხულის დამდეგს, სწორედ ამ დროს, როდესაც სიცოცხლე სჩქეფს და გადმოდუღს, ქალაქში იმდენად საყურადღებო ხმა გავრცელდა, რომ ერთს წუთს ყველა ყავახანები, ბულვარები და თვით მოედანიც სულ დაცალიერდა; ყველანი გაემართნენ საჩქაროდ ბასტიისკენ მიმავალ გზისაკენ, სადაც ცოტა ხანს უკან აუარებელი ხალხი მიაწყდა და გზის ორთავე ნაპირი დაიჭირა; ზოგნი, რომ უფრო კარგად დაენახათ, ხეებსა და ღობეებზედაც-კი იჩხებოდნენ; ყველგან ერთი და იგივე მოისმოდა: „ყაჩაღი დაუჭერიათო"! და თითოეული მათგანი სულ სხვა და-სხვა ნაირად უამბობდა ახლად მოსულებს ამ ამბავს.

ყაჩაღი რომლის შესახებაც იყო ლაპარაკი, რასაკვირველია განთქმული ტიტო ბელუომო უნდა ყოფილიყო, რომელსაც მთელის წლობით დასდევდნენ ჟანდარმები დასაჭერად, მაგრამ აქამდის ვერას გამხდარიყვნენ. ყოველთვის, როდესაც-კი მოუგდიათ ის ჟანდარმებს ხელში და უფიქრიათ, რომ აი ახლა-კი დაიჭირეს, ახლა-კი ამოიყრიან იმის ჯავრს, იგი იპოვიდა ხოლმე საშვალებას გასხლტომოდა ხელიდან და თავს-ზარსა სცემდა მთელს იმ მხარეს; მაგრამ ახლა-კი გამბულიყო მახეში, ეთვალთვალათ და მოულოდნელად თავს დასხმოდნენ; გაშმაგებით იბრძოდა თურმე, ერთი ჟანდარმი მოეკლა, ორი დაეჭრა; მაგრამ როდესაც დაინახა მოხუცი უფროსი ჯარის-კაცი ნეგრონი, რომელიც ნიშანში იღებდა, რევოლვერი გადააგდო, რომელშიაც კიდევ ერთი ტყვია დარჩენოდა, და დამორჩილდა. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუ-

*) აიაჩჩიო ქალაქია იტალიაში, კორსიკას კუნძულზედ.

**) ტერრასა—პატარა მოედანია სახლის წინ.

წლის მაისიდგან დაიწყობს მოქმედებას.

⁂ 15 იანვარს, ღამით, პოლიციის მესამე ნაწილში, დუქნებსა, ტრაქტირებსა და სახარაზოებში პოლიციის მოხელეებს 58 კაცი შეუპყრიათ, ხოლო მეხუთე ნაწილში—13 უსაქმო და უბინადრო კაცი.

⁂ ნაძალადევში მცხოვრებმა დ. გრიგოლიამ განუცხადა მეათე ნაწილის პოლიციის ბოქაულს, რომ ჩემს სახლში მომპარეს სხვა და სხვა ნივთები, 47 მანეთად ღირებულიო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქურდობა მოუხდენია ვიღაც დვალს, რომელსაც უკვე გაუყიდნია მოპარული ნივთები.

⁂ რადგანაც შავის ზღვის პირას გუბერნიაში ამ ბოლოს დროს ძალიან განვითარდა საქარხნო წარმოება, მთავრობას, გაზ. „კავ.“-ის სიტყვით, აზრადა აქვს შემოიღოს ამ გუბერნიაში საქარხნო ინსპექცია. სულ გუბერნიაში 43 ქარხანაა, სადაც 4,800 კაცამდე მუშაობს თურმე.

⁂ ქალაქის საბჭოს კომისიამ 16 იანვარს დაათვალიერა გენერალ ბუჰყიევის სახლი. ამ სახლში გამგეობას აზრადა ჰქონდა ქალაქის მთავარი სამკურნალო მოეთავსებინა, მაგრამ კომისიამ იგი ამისთვის უვარგისად სცნო.

⁂ გაზ. „ტფილისის ფურცელს“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ მთავრობა კიდევ 50 ბეითალს ჰგზავნის კავკასიაშიო.

⁂ როგორც ამბობენ, ოზურგეთის მაზრაში უნდა გაიხსნას წლეულს თამბაქოს საცდელი პლანტაცია და ერევნის გუბერნიაში ასეთივე პლანტაცია ბამბისა.

⁂ სასულიერო მთავრობას განუმარტებია, რომ მეტრიკულ მოწმობებისათვის, რომელთაც ადგილობრივ ეკკლესიების მღვდლები აძლევენ მთხოვნელთ, სასოფლო სკოლებში წარსადგენათ, მარკებს ნუ მოსთხოვთო.

⁂ სოფ. ნატოჩხო, (სენაკის მაზრა). კვირას, 16 იანვარს, სოფ. ნატოჩხოს წმ. გიორგის ეკკლესიაში ადგილობრივმა მღ. მ. სიმონ კალანდარიშვილმა პანაშვიდი გარდაიხადა გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ, ამავე ეკკლესიის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ტრიფონ კალანდარიშვილმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობის შესახებ. პანაშვიდს მრავალი ქალი და კაცი დაესწრო.

⁂ სოფ. თერჯოლა, (შორაპნის მაზრა). ჩვენში ძლიერ გამრავლდა ქურდობა და სახლების, ბეღლების და სხ. გატეხა. 10 იანვარს, ნაშუაღამევს, აზნაურს იუსტინე ტარიელის ძეს მაჭავარიანს გაუტეხეს ბეღელი და წაიღეს ოთხმოც-და-ხუთის მანეთის ჭირნახული და სხვა-და-სხვა ნივთები. ქურდობა ჰბრალდება ექვს კაცს. აგრეთვე წარსულს თვეში სოფელს რუფოთში მოჰპარეს ნიკოლოოზ მაჭავარიანს ცხენი.

⁂ ფოთი. კვირას, 16 იანვარს, მისის უსამღვდელოესობის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ აუარებელ საზოგადოების თანადასწრებით წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ ბ მ ი. ფანცხავამ ვრცელი და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას განსვენებულის მოღვაწეობა ქართველთა წინაშე.

⁂ კავკავი. კავკავის ქართველი საზოგადოება ძლიერ დაალონა სამწუხარო ამბავმა ქართველთა ერთ საუკეთესო ბელეტრისტისა და მუშაკის გიორგი წერეთლის გარდაცვალების შესახებ. 16 იანვარს კავკაველ ქართველების ეკკლესიაში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დაესწრო ადგილობრივი ქართველობა, მომეტებულად უბრალო მდაბიო ხალხი. პანაშვიდის დასაწყისს ქართველების მოძღვარმა გიორგი ნათაძემ წარმოსთქვა დროს შესაფერი გრძნობიერი სიტყვა, რომელშიაც განმარტა საზოგადოებრივი ღვაწლი განსვენებულისა ჩვენის მწერლობის წინმსვლელობის საქმეში. ისეთს დროს, როცა განსვენებული გიორგი წერეთელი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ, ჩვენი მწერლობის აღსადორძინებლად საჭირო იყო ერთგული, მხნე მუშა და თავ-განწირული მოღვაწე, რომელთა მცირეოდენ რიცხვს ეკუთვნოდა განსვენებულიც. ჩვენს დროშიაც, როცა სამშობლო მწერლობას ბევრი გაურბის თბილის ადგილების მოსაპოვებლად, ისეთი დაუღალავი მუშაკი, როგორიც იყო განსვენებული, დიდი დასაკლისია ჩვენთვის. ამას ჰგრძნობს ყველა შეგნებული ქართველი. ამასვე ჰგრძნობენ დღეს კავკაველი ქართველებიც და საზოგადო გლოვას უერთებენ თავიანთ მწუხარებასაც. საუკუნოდ იყოს ხსენება ბეჯითის მუშაკისა და მოღვაწისა, რომელიც იღვწოდა ჩვენის ერის კეთილ-დღეობისათვის.

⁂ ს. მაქელ-გაბრიელი, (გურია). როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს სოფელს მოუვიდა ნებართვა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებისა. ამ დღეებში იყო აქაურ სკოლის დარბაზში ამ საქმის განხორციელების შესახებ კრება, რომელმაც დაადგინა სამკითხველოს წეს-რიგი და გამგედ აირჩია ზედამხედველი აქაური სკოლისა—მოსე მეგრელიძე, რომელიც უკვე შეუდგა ზრუნვას სამკითხველოსთვის და რამდენიმე გაზეთი გამოიწერა. საზოგადოებაში ბევრმა განაცხადა სურვილი სამკითხველოს წევრად ჩაწერისა.

⁂ 16 იანვარს გაზ. „ტფილისის ფურცელში“ დაბეჭდილი იყო სამგლოვიარო განცხადება რკინის გზის აგენტის გ. ს. გოზდევის გარდაცვალების შესახებ. განცხადებაში ისიც იყო ნათქვამი, რომ ამა და ამ დროს პანაშვიდი იქმნება გარდახდილიო. როგორც „კავკასი“ იუწყება ეს განცხადება ტყუილი გამოდგა და ბ-ნი გოზდევი ეხლაც ცოცხალია თურმე. პანაშვიდზედ დასასწრებლად აუარებელი ხალხი მისულა იმ დღეს გოზდევის სახლში.

⁂ ამ ბოლოს დროს ქალაქში სოფლებიდგან ნაკლებ საკლავ საქონელს მორეკავენ, რის გამო ხორცის ფასმა ძალიან აიწია. გამგეობის უკანასკნელ კრებაზედ ამ საგნის გამოსარკვევად ხორცის ვაჭრებიც იყვნენ მიწვეულნი. ამ ვაჭრებმა განაცხადეს, მიზეზი ბაზარში საკლავ საქონლის ნაკლებობისა თოვლიანი ზამთარია და აგრეთვე ის, რომ სავაჭრო საქონელი რკინის გზით მორეკონ. რადგანაც ვაგონებში წყალი და საკვები არ არის, საქონელი გზაში სდება და საკლავად აღარ ვარგა. ამ საქმის შესახებ გამგეობას კიდევ ექმნება კრება.

⁂ იარმუკის მოვაჭრეებმა უკანასკნელს ხანებში მეტად გაამრავლეს უვარგისი სანოვაგე. ამის გამო ბ-ნ პოლიცმეისტერს უბრძანებია პოლიციის მესამე ნაწილის მოხელეთათვის, რომ მომეტებულად ადევნონ თვალ-ყური ნარჩენებს და ოქმი შეუდგინონ იმ ვაჭრებს, რომელნიც ერთმანეთთან შერიგებით შეჰკვრენ სანოვაგის გასაძვირებლადო.

⁂ 14 იანვარს კბილის ექიმმა ფედოტოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემის სადგომიდგან, გრიბოედოვის ქუჩაზედ, სახლი მელიქოვისა, პიანინო მომპარეს, რომელიც 350 მანეთად ჰღირდაო. ქურდი გორის მაზრის მცხოვრები ვასილ გალოევი აღმოჩნდა, რომელიც პოლიციას უკვე დაუპატიმრებია.

---

## გ. წერეთლის გვამის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვანი:

### პ. უმიკაშვილის მიერ.

ჩვენო მოჭირნახულევ გიორგი! შენს უგრძნობელს გვამს უვავილ-გვირგვინებით ამკობს შენი საყვარელი ქვეყანა გულის გლოვის გამოთქმის ნიშნად. მეც, შენს ძველ ამხანაგს, მინდა გულის ამონაცენი გამოვთქვა, რაც შენი სიცოცხლის საგანი იყო.

რა იყო ეს საგანი?

განა ფილოლოგია, ან არქეოლოგია იყო, ისტორია ანუ ბუნებითი მეცნიერება, პოეზია ანუ სცენა, ლექსები ან ფელეტონები, ჟურნალისტიკა ან ლიტერატურა? ყოველიფერი იყო და ეს ყოველიფერი ერთს საგანს ეკუთვნოდა, ერთის საფუძვლე დედა-აზრისაგან მომდინარეობდა.

შენი დედა აზრი იყო ზრუნვა ჩვენის ქვეყნის და ხალხის ბედისათვის, ბედნიერებისათვის, მის წინსვლისათვის.

ორის კვირის წინად 50 წლის თეატრის და ლიტერატურის დღესასწაული გადავიხადეთ იმის ნიშნად, რომ მიძინებულმა ზრუნვამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის გამოიღვიძა. გამოიღვიძა ჩვენმა აზრმა და შეგნებამ, რომ არ შეიძლება უზრუნველობა, არ შეიძლება საზოგადოება და ხალხი უზრუნველად დარჩეს, სადა ათასი კვნესის მოისმის და ათასი ცრემლი იღვრება. სადა ქვეყანას მზრუნველი არ ეგულება თვით საზოგადოებასა და ხალხში, განა იქ როდისმე საერთო ბედნიერება დამყარდება?

გავლილ ნახევარ საუკუნეში საერთო ქვეყნის ზრუნვის გამომთქმელი, აღმზრდელი და მწვრთნელი შეიქმნა ჩვენი მწერლობა. ვისაც გული ერჩის, ამ საერთო საქვეყნო ზრუნვით თუ არის შეპყრობილი, ის არის დღეს ქვეყნისაგან მოღვაწედ ცნობილი; მისი გაკეთებული საქმე ნაყოფიერი, აღმზრდელი და დამხმარე ქვეყნისა. მეცნიერება და ხელოვნება, პოეზია და სცენა, ყოველგვარი ხელობა და ადამიანის მოქმედება მაშინ არის მადლიანი და სიკეთით შემკობილი, თუ ამ საზოგადო ზრუნვის ცეცხლშია გატარებული. უამისოდ არც განათლებას, არც ხელოვნებას და მწერლობას, არც არავითარ ადამიანის საქმეს არავითარი ფასი არა აქვს,—ის მკვდარია.

დღეს საერთო გლოვა ამოწმებს ქვეყნისათვის შენს მზრუნველობას. შენ იყავი მოუცილებელი მზრუნველთაგანი და შენი ნამუშევარი მას ემსახურებოდა თითქმის ორმოც წელს. შენი სიცოცხლე და ნამუშევარი გვეუბნება: რა ასპარეზზედაც გინდათ იმუშავეთ, ოღონდ საერთო კეთილდღეობის და სიკეთის ზრუნვა გქონდეთ ძვალ-რბილში გამჯდარი და ის ზრუნვა იყოს თქვენი ხელმძღვანელიო.

მოჭირნახულევ გიორგი! შენი სულის წუხილი დღეს იქნება დამშვიდებული. საერთო გლოვაში ისმის ერთი ხმა, რომ ქვეყანას ცოტა ჰყავს მედგარი მოჭირნახულე, ისმის მასში ნატვრა, რომ გამრავლდეს ჩვენში ქვეყნის მზრუნველი. ეს გლოვა და ეს ნატვრა აღმზრდელია ჩვენში ზრუნვის აზრისა. ეს გლოვა უნდა შეიქნეს მხურვალე სურვილად საქვეყნო ზრუნვის აღზრდისათვის და მოქმედებისათვის.

მშვიდობით ჩვენო მოჭირნახულევ, ჩვენო მიამაგევ. შენი ხანგრძლივი ჭირნახული თავდებია იმისა, რომ ჩვენში განმტკიცებს მზრუნველობას იმ საერთო აზრისათვის, რომლისთვისაც გინდოდა გეცოცხლა.

მშვიდობით უდროოდ გამქრალო სიცოცხლევ!

---

## ქალაქის საბჭო

17 იანვარი.

კრების დაწყებისათანავე, ქალაქის მოურავმა—გ. გ. ევანგულოვმა აუწყა საბჭოს გ. ე. წერეთლის გარდაცვალება 12 იანვარს. ბ-ნმა ევანგულოვმა, აღნიშნა-რა განსვენებულის ნაყოფიერი და მრავალგვარი საზოგადო მოღვაწეობა, სთქვა, რომ გამგეობამ გვირგვინით შეამკო მისი კუ-

---

თრევით აკვირვებდა ყველას. ტიტო დამორჩილდა მაშინ, როდესაც ერთი ტყვია კიდევ დარჩენოდა!.. ეს შეუძლებელი იყო! მერე ვის, მოხუცს ნეგრონს, რომელიც, თუმცა, მართალია, არ იყო მხდალი, მაგრამ აბა მაინც რას შეედრებოდა სიმარდეში ტიტოს! არავის არა სჯეროდა ეს ამბავი, ყველა საშინლად ჰღელავდა, ყველას სურდა სიმართლე შეეტყო.

უცებ ყველა გაყუჩდა; „აგერ ისინი! აგერ ისინი!“ მოისმა უცებ რამდენიმეს ხმა. და მართლაც, ცოტა ხანს უკან გამოჩნდნენ. წინ ცხენოსანი ჟანდარმები მოდიოდნენ, იმათ მოსდევდნენ უკან მწყობრად დარაზმული ჯარის-კაცნი, რომელთ შუაში ჩაეყენებინათ ხელებ უკან გაკრული ტიტო ბელუომო. ტიტოს ლამაზი, ლომებრივი თავი მაღლა აელო და ამაყად მოაბიჯებდა. სახეზედ მზე ჰქონდა მოკიდებული. თავზედ მატყლის წოწოლა ქუდი ეხურა, სწორედ ისეთი, როგორსაც კორსიკელი გლეხები ჰხმარობენ ხოლმე, ტანზედ გახეხილი მიხაკის ფერი ხავერდის ტანისამოსი ეცვა. წელზედ წითელი ქამარი შემოერტყა და მაღალ ყელიან ჩექმებზედ სქლად დასდებოდა მტვერი.

იგი მარდად, ვაჟკაცურად მოაბიჯებდა წინ და ბრბოს, რომელიც მოწიწებით შეჰყურებდა, სწორედ ისე, როგორც სიკვდილით დასასჯელს შეჰყურებს ხოლმე,—ზიზღით აავლ-ჩაავლებდა ხოლმე თვალს. ტიტოს საქმე წასული იყო, ის თითონაც ჰგრძნობდა ამას. მას შემდეგ რაც ყაჩაღობით გაითქვა სახელი, ყოველსავე დანაშაულს, თუნდაც იმისიც არა ყოფილიყო, მაინც იმას აბრალებდნენ. როგორც-კი შეიტყობდნენ აიაჩიოში რაიმე მკვლელობის ამბავს, რომლის ჩამდენიაც ვერ იპოვნიდნენ, ყველა ერთსა და იგივეს იმეორებდა: „აი დალახვრა ღმერთმა!.. სანამ მაგ ავაზაკ ბელუომოს არ დაიჭერენ“... და სხვა და სხვა.

მაშინვე დააყენებდნენ ფეხზედ პოლიციას. მთელი რაზმი ჟანდარმებისა დაუწყებდა ხოლმე ძებნას, მაგრამ ამაოდ. იმას ვერავინ იჭერდა და ყოველივე ცდა ამ მხრივ რომელისამე ჟანდარმის სიკვდილით თავდებოდა. ბასტიიის სასამართლომ დიდი ხანია გადაუწყვიტა ყაჩაღს სიკვდილით დასჯა და მხოლოდ მოხერხებულს შემთხვევას ელოდდა, რომ ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა. და აი ყაჩაღიც დაეჭირათ, რასაკვირველია, ეხლა კი ის ველარ წაუვიდოდა სასამართლოს ხელიდგან და წესიერად იქმნებოდა დასჯილი. როცა პირველმა მღელვარებამ გაიარა, ხალხი გამოერკვა თავდავიწყებიდგან, უცებ ასტყდა ყოველ მხრიდგან საშინელი ღრიანცელი, ხალხი აღელდა მოძრაობაში მოვიდა და გაიწია წინ, რომ კარგად დაენახა დამნაშავე. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ჟანდარმებს. ყველა ფანჯრები სავსე იყო ქალებით, მედუქნეები თავისს დუქნებ წინ თითის წვერებზედ დგებოდნენ, რომ უფრო კარგად დაენახათ ყველაფერი.

როდესაც ყაჩაღი საპყრობილეს დაუპირდაპირდა, ერთის მახლობელ სახლის ფანჯრიდგან, სადაც ღარიბები სცხოვრობდნენ, სულ მაღლა, მეხუთე სართულში, გაისმა საშინელი გულ-შემზარავი კივილი, რომელმაც ერთ ხანად თითქმის დაჰფარა გარეშე ხმაურობა და წუთს შემდეგ ამ კივილთან ერთად მზის სხივებით განათებულს კედელზედ რაღაცა ჩრდილმა გაირბინა, გაიძაფა უცებ ზემოდამ ქვევით და ძირს, ქვაფენილზედ წუთს შემდეგ ქალის სხეულმა მოიღო ზლართანი; იმის ახლოს ხალხი შეჯგუფდა, გარშემოეხვია იმ ალაგს, დანარჩენების ყურადღება-კი არ მიუქცევია ამ შემთხვევას, მათ მთელი თვისი ყურადღება ამ განთქმულს ყაჩაღზედ ჰქონდათ მიპყრობილი. ხალხის მდინარეობაში ერთის წუთით პატარა ჩოჩქოლი ჩავარდა, ვიღაც ეკითხება მეზობელს და თვალს არ აშორებს საპყრობილის კარებს: „რა ამბავია, რა მოხდა?“ და ისევ გულგრილად უპასუხებს მეორე: „უბედური შემთხვევა. ქალი მეტის-მეტად გადმოკიდებულა ფანჯრიდგან“... საბრალო ქალი კი ასწიეს და ზემო სართულში აიტანეს. მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაოცება, რომ ამ დასისხლიანებულს, უსიცოცხლო გვამში, გაყვითლებულის სახით, იცნეს მოხუცის ნეგრონის ქალი მადლენა, იმისი ერთად-ერთი შვილი, მისი ერთად ერთი ნუგეში!

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა გასვენებას დაესწროო. ბოლოს სთხოვა კრებას, განსვენებულის პატივსაცემად ყველანი ფეხზედ ამდგარიყვნენ, რაიცა შესრულებულ იქმნა.

შემდეგ, კ. მ. ალიხანოვის თავმჯდომარეობით, საბჭო შეუდგა სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვას გამგეობის 1895 წ. ანგარიშის შესახებ. კომისიის ზოგიერთმა შენიშვნამ გამოიწვია კამათი. მაგალითად, კომისიას ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ღვინით მოვაჭრენი ერთისა და იმავე დამღა დაკრულ ჭურჭლით არ ჰყიდიან ღვინოს, და თხოულობდა, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის თვით-მმართველობამ, რომ სადვინე ჭურჭლები—ჩაფი, თუნგი, ჩარექა და სხ. დამღა დაკრულ იქმნასო. გამგეობამ ამის შესახებ განაცხადა, რომ დამღა დაკრულ ჭურჭლებით ისეთი სასმელები ისყიდება, რომლებზედაც აქციზია დადებული და რადგან ღვინო თავისუფალია ამ გარდასახადისაგან, კანონი ნებას არ გვაძლევს ამ სასმლისთვის დამღა დაკრული ჭურჭლები სავალდებულო გავხადოთო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ დაავალა გამგეობას შეიმუშაოს ამ საგნის შესახებ მოხსენება, გამოარკვიოს—შესაძლებელი იქმნება, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ ვალდებულ ჰყოს ღვინით მოვაჭრენი დამღა დაკრულ ჭურჭლებით ჰყიდდნენ ღვინოს, თუ შუამდგომლობა აღძრას ამის შესახებ მთავრობის წინაშე. კომისიის შენიშვნის თანხმად საბჭომ აგრეთვე დაავალა გამგეობას, რომ გამგეობის აგენტები ვალდებულ ჰყოს თანამდებობის აღსრულების დროს დაწესებულ ნიშანს ატარებდნენ (ჯაჭვსა და მედალს), და მედუქნეებს მოულოდნელად გაუსინჯონ სასწორის ქვები, რაიცა საუკეთესო საშუალებაა ყალბის ქვების მოსასპობლად.

კომისიას შეუნიშნავს, რომ სახელოსნო სასწავლებელს არ ჰქონია ვენტილაცია, ოთახს არა ჰქონია ღუმელი, დანოტიებული ყოფილა და სხვ.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. გამგეობის წევრები რომ დადიოდნენ სახელოსნოსა და ქალაქის სხვა სასწავლებლებში, არც ასეთი ნაკლულევანებაი იქნებოდა იქ. გამგეობა რად ელოდება, რომ როდისმე კომისია დაათვალიერებს სკოლებსო, რატომ დრო-გამოშვებით თითონ არ მივა და არა ჰნახავს, რა მდგომარეობაშია ჩვენი სასწავლებლები, რომლებზედაც რამდენიმე ათი ათასი მანეთი გვეხარჯება?

გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი. კომისიას გადაუჭარბებია თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის. მართალია, მისი შენიშვნები სასარგებლოა და გამგეობა ყურადღებას აქცევს მათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ კომისიას მინდობილი ჰქონდა ანგარიშების საფინანსო ნაწილის განხილვა, და არა იმის გამორკვევა, თუ რა ნაკლულევანება აქვს ამა თუ იმ დაწესებულებას.

კ. მ. ალიხანოვი. რადგან კომისია არჩეულია, შეუძლიან ნაკლულევანებათა ჩვენებაც. უმჯობესი არ არის, ამავე კომისიამ გამოარკვიოს ყოველ მხრივ თვითმართველობის დაწესებულებათა ავ-კარგი, ვიდრე რამდენიმე კომისია იქმნას არჩეული?

ა. ფ. ფრიდონოვი. ყველა ხმოსანს შეუძლიან ნაკლულევანება აჩვენოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ კომისიას განსაკუთრებული საქმე ჰქონდა მინდობილი. სასწავლებლის ნაკლულევანებისთვის სამოსწავლო კომისიას უნდა მიექცია ყურადღება. თუ რომელიმე სასწავლებელს რაიმე ნაკლულევანება აქვს, ამ კომისიას უნდა ვუსაყვედუროთ და არა სხვას ვ სმეს.

ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი. გამგეობა მოხსენებას წარმოუდგენს საბჭოს, თუ რა უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი სარევიზიო კომისია. ამიტომ გთხოვთ ამ საგნის შესახებ კამათი შესწყვიტოთ ეხლა და მისი განხილვა იმ დროისათვის გადასდოთ.

კომისიას ყურადღება მიუქცევია, რომ გამგეობას არ აქვს საინვენტარო წიგნები ქალაქის ქონების ასანუსხავად, ცნობაში არ არის მოყვანილი, თუ რამდენი უძრავი მამულის პატრონია ქალაქი და არ არსებობს რუკა ქალაქის მამულებისა.

ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი. გამგეობამ დაავალა გამგეობის წევრთ—თავ. ჩერქეზიშვილს და არღუთინსკის გამოარკვიონ ეს საგნები, და გამგეობა ეცდება ჩქარა წარმოუდგინოს საბჭოს თავისი მოსაზრებანი.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, საბჭომ დაადგინა მიანდოს გამგეობას შეიმუშაოს, თუ როგორ და რა წესით უნდა იქმნას შედგენილი საინვენტარო წიგნები და უძრავ მამულების რუკა.

დასასრულ საბჭომ მადლობა გარდაუხადა სარევიზიო კომისიის წევრებს გულ-მოდგინეთ შრომისათვის.

## წერილი ალაგირიდგან.

3 იანვარს ალაგირის სამრევლო სკოლების მზრუნველის ქ-ნ კლავდია სემიანიკოვის თაოსნობით და ხარჯით ქართველ და რუსთა მოწაფეთათვის გამართულ იქმნა საბავშვო საღამო. რადგან ქართულის სკოლის დარბაზი პატარაა და არ შეიძლებოდა შიგ ბევრის ხალხის მოთავსება, ამისთვის მზრუნველმა უმჯობესად სცნო მოეთავსებინა ხალხი რუსების სკოლის დარბაზში. საღამო დაიწყო შვიდის საათის ნახევარზედ. დარბაზის შუა ადგილას იდგა შობის ხე, რომელიც საუცხოვოდ იყო მორთული. მოწაფეები ჰკითხულობდნენ ქართულსა და რუსულს ლექსებს. შემდეგ ბავშვები გარს შემოერტყნენ შობის ხესა და ჰგალობდნენ ქართულ და რუსულ სიმღერებს. ბოლოს გამართეს ცეკვა-თამაში, რომელიც მშვენიერი სანახავი იყო. დასასრულ ორივე სკოლის მოწაფეებს, რომელთა რიცხვი აღემატებოდა 200 სულს, ქ-ნმა მზრუნველმა სემიანიკოვისამ დაურიგა საჩუქრები. თითოეულმა მოწაფემ მიიღო მრავალი ტკბილეულობა და წიგნები.

მეორე დღეს, 4 იანვარს, აურაებელი ხალხი მოიწყდა სკოლის დარბაზს, სადაც ნაშუადღევის 6 საათზედ დადგეს ცოცხალი სურათები. ეს სურათები იყო ამოკრებილი ძველი და ახალი საღმრთო ისტორიიდგან. ქართულის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა პავლე ლომთათიძემ მოინდომა კერძოდ ქართველებისთვის ქართულ სკოლის დარბაზში ცოცხალი სურათების დადგმა. ამისთვის მან სთხოვა კავკავის ქართულ სკოლის უფროსს მასწავლებელს ბ-ნ ლუარსაბ ბოცვაძეს ქართველ წმინდანებისა და ისტორიულ მოღვაწეთა სურათები, რომელმაც დიდის სიამოვნებით ათხოვა. 9 იანვარს ბ-ნმა ლომთათიძემ, გაბრიელ ბოჭორიშვილის დახმარებით, დადგა ცოცხალი სურათები. სკოლას აურაებელი საზოგადოება მოაწყდა, მაგრამ, უადგილობისა გამო, ბევრი გარედ იდგა და იქიდგან უცქეროდნენ. მოწაფეები და ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდნენ სახლში. ყველაზედ უფრო საზოგადოების მოეწონა გაბრიელ ეპისკოპოსისა და ქართველ თავდადებულთა სურათები. დიდი მადლობის ღირსია მზრუნველი სკოლისა ქ-ნი კ. სემიანიკოვისა, რომელიც ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, რათა სკოლების საქმე წინ წაიყვანოს, და აგრეთვე მასწავლებლები სკოლებისა, რომელთაც არ დაიშურეს შრომა მოწაფეების მომზადებისა და ხალხის სიამოვნებისათვის.

ალაგირის საზოგადოების მონდობილებით
იასონ ჩიკვილაძე

## როგორ უნდა მოვიპოვოთ აბრეშუმის ჭიის თესლი?

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ცნობის ფურცლის“ მე-977 №-ში დაბეჭდილი იყო: „წელს მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას ქუთ. გუბერნიაში“ დაურიგებია წევრთათვის 10,000 ფუთზედ მეტი შეუმოწმებელი(?) გრენი ქრისტოდულიდის ფირმისა და უმეტესი(?) ნაწილი ამ გრენის რაოდენობისა უვარგისი გამომდგარა“. შენიშვნის ავტორი იმასაც გვისაყვედურებს, რომ ვითომც ამხანაგობა თითოეულ უუთზედ 40—50 კაპ. იგებდაო. დავეთანხმოთ დროებითად შენიშვნის ავტორს ყველაფერში და ვკითხოთ: როგორ უნდა მიაღწიოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ თესლის შეძენაში თავისს სურვილს? როგორ უნდა მოიპოვოს მან საღი თესლი? შენიშვნის ავტორს ეს საჭირბოროტო საგანი ძლიერ ადვილად გადაუწყვეტია: მისის აზრით, საკმაოა ტფილისის საბრეშუმო სადგურს შეამოწმებინოთ თესლი; სადგურმა თუ მოიწონა ის, საეჭვო იქმნება, თუ არა და არ ივარგებს. მორჩა და გათავდა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ამბავი ჩვენთვის „არ ახალია, მეველაა“ და იმოდენად მველია, რომ, დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ სადგურს საქმით ჩვენზე უკეთ თითონ შენიშვნის ავტორიც არ იცნობს. დიახ, საქმით! არა ერთი და ორი თუმნის თესლი გაგვისინჯებია ჩვენ სადგურისაგან შემოწმებული და თითონ სადგურშიაც მომზადებული, კი იყო იმ დრომდე, ვიდრე ჩვენც საკმარისად მივაკვლიეთ თესლის საავ-კარგოს გასაგებად მისი შემოწმება სადგურის მიერ. მაგრამ მწარე გამოცდილებამ სულ წინააღმდეგი დაგვანახვა. შეამოწმა, მაგალითად, სადგურმა 1896 წელს თესლი „კაზუნიდოსა და ლასკარიდის“ ფირმისა და სრულიად საღად იცნო. შევიძინეთ სადგურის ბანდეროლით და ბეჭდით შეკრული ამ ფირმის თესლი 559 კოლოფი. მოგვყიდა თითონ სადგურმა სამოცის თუმნის თესლი იმავე 1896 წელს—მისხალი 50—60 კაპ. შემოწმებული კი არა, გარჩეული თითონ სადგურისაგან (თითოეული ჰპელი ცალკე). შეამოწმა იმავე სადგურმა თესლი „ლატიფიანისა და ქეოსიანის“ ფირმისა და უვარგისად იცნო (30% შებრინაანი). რადგან თესლი გვესაჭიროებოდა და თანაც ამ ფირმას წინედაც ვიცნობდით კარგის მოსავლის მომცემად, შევიძინეთ 1,200 კოლოფი. როგორ გგონიათ, რა გამოდგა? ლატიფიანის ფირმის თესლმა ჩვეულებრივად მთელი მოსავალი მოგვცა, მისხალზედ 20—25 გირვანქამდის პარკი, მაშინ როდესაც სადგურისაგან მოწონებულებმა 5—7 გირვანქამდის და ზოგმა არც ის! ეს გახლდათ ერთსა და იმავე წელს, ერთსა და იმავე ტაროსში და ვითარებაში. ამისთანა მაგალითი არა ერთი გვაქვს.

აქ უნდა მოვიხსენიოთ ერთი გარემოება, რომელიც დაგვანახვებს, რომ ეს ყოველივე შესაძლო იყო მომხდარიყო თითონ საბრეშუმო სადგურის სურვილის წინააღმდეგ. საქმე ის გახლავთ, რომ მიკროსკოპიულ შემწეობას არ შეუძლიან აღმოაჩინოს „ფლაშერი“ აბრეშუმის ჭიის ერთი სენი, რომელიც შეიძლება კიდეც სჭირდეს შესამოწმებელ თესლს, მაგრამ გამოჩნდეთ კი თავს იმ დროს იჩენს, როცა ჭია პარკის ახვევს შეუდგება. მაშინ-კი ერთიანად ანადგურებს ჭიას და მოსავალზე ხელს აღებინებს მეაბრეშუმეს. ამ შემთხვევაში ერთად ერთი საშუალებაა საღის თესლის მოპოვებისა კეთილ სინდისიანობაა თითონ მეთესლისა. ამას უნდა მიაწოდეს თავისს ჭიას და გარემოს მეაბრეშუმის ჭირი და ვარამი, და ესენი ორნივე მეთესლე და მეაბრეშუმეც, ერთმანეთს ხელს უნდა უწყობდნენ—პირველი, მეორეს რიგიანს თესლს აწვდიდეს, მეორე რიგიან ფასს აძლევდეს. აქ ერთისაც და მეორისაც გამმარჯვე „ბურთი და მოედანია“, ესე იგი თავისუფალი მეტოქობა. ამიტომ არის კიდეც, რომ ეს საშუალება მიუღიათ როგორც ევროპის, ისე აზიის საბრეშუმო ქვეყნებს. როგორც მეთესლის, ისე მეაბრეშუმეს დასაკმაყოფილებლად,

1897 წელს ფირმა ლატიფიანისა გაუქმდა ერთის მოთავის გარდაცვალების გამო. ჩვენ მივმართეთ ჩვენში გამოცდილ ფირმას „ქრისტოდულიდისას“. ამ ფირმისა შევიძინეთ, ეხლა-კი სადგურის მიერ შეუმოწმებელი, 1.289 კოლოფი. ამას გარდა შევიძინეთ „იავაშოღლისა“ და სხვა-და-სხვა ფირმისა 700 კოლოფი—ზოგი მთლად, ზოგიც სანახევროდ შემოწმებული და საღად ცნობილი სადგურისაგან. ქრისტოდულიდის ფირმამ დასჩრდილა ყველა და სხვა ფირმების მეოხებით შებღალვისაგან გამოისყიდა ამხანაგობის სახელი, როგორც წინად ამასვე სჩადიოდა ფირმა ლატიფიანისა. ასე რომ, ამხანაგობამ თავისის მოქმედების პირველ წელსავე (1895) ლატიფიანის 400 კოლოფი თესლით მიიქცია მეაბრეშუმეების ყურადღება (ოთხასიდგან ოთხი კოლოფი შევამოწმებინეთ სადგურს); მეორე, 1896 წელს, როგორც გნახეთ, ამავე ფირმის 1.200 კოლოფმა ასახელა ამხანაგობა; მესამე 1897 წელს ქრისტოდულიდის ფირმამ განაგრძო იმავე მხრივ მოქმედება; 1898 წელს ამხანაგობამ შეიძინა 3.000 კოლოფი ამავე ფირმისა და მხოლოდ 218 კოლოფი წინად ცნობილის სტეფანიდის ფირმისა. ამ წელს ამხანაგობის თესლის მყიდველები ბევრი დარჩა დაუკმაყოფილებელი. სტეფანიდის ფირმის 218 კოლოფმა მთელი მოსავალი არ მოგვცა, ქრისტოდულიდისამ-კი ჩვეულებრივად დააკმაყოფილა მეაბრეშუმეები, ასე რომ, შემდეგის 1899 წლისათვის ამხანაგობამ ხალხის მოწყურება გამართა თესლზედ წინ-და-წინვე, 8.000 კოლოფზედ წინ-და-წინ მოაწერეს ხელი. ნამდვილად-კი ამხანაგობამ წელს გაჰყიდა 9.373 კოლოფი ქრისტოდულიდის ფირმისა და 1.000 ალოიზისა, შემოწმებული და საღად ცნობილი მარგელანის საბრეშუმო სადგურის მიერ. იმდენად შეეჩვივნენ მეაბრეშუმეები ერთხელვე გაცნობილს ფირმას, რომ ალოიზის ფირმის 1.000 კოლოფიდგან, თუმცა მას ნისიადაც ვარიგებდით, რადგან გვინდოდა უცხოელის ჭიის პარკის თესლი ცნობილის მეთესლისა გავრცელებულიყო ჩვენში,—ნახევარზედ მეტი გვეზარალა, რადგან მოსალოდნელი მოსავალი არ მოგვცა, უნდა სიმართლე აღვიაროთ, რომ წელს ქრისტოდულიდის ფირმამაც ჩვეულებრივზე ნაკლები მოსავალი მოგვცა (მისხალზედ 20—25 გირვანქის ნაცვლად—13—16 გირვანქა), მაგრამ ერთსა და იმავე გარემოებაში უცხოა ფირმას მაინც კიდევ იმან აჯობა.

(დასასრული იქმნება)

## დამაკვირდი

უფლება და უაღრესობა შრომით მოიპოვება.

ლიუდოვიკო მე-XIV

* * *

საცა ერს თვისი საგვარ-ტომო მისწრაფება დახშვია, იქ იუდაც კაცად ითვლება და ხრწნადიც უხრწნელად მოივლინების.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

რუსული გაზეთები შემდეგ ამბავს გადმოგვცემენ. ამას წინად ხარკოვიდგან სხვა ტუსაღებთან ერთად ციმბირში გაუგზავნიათ ქართველი თავადი დავით ო—ძე, რომლისთვისაც სასამართლოს კატორგაში გაგზავნა შემდეგის დანაშაულობისათვის გადაუწყვეტია. თავად დავითს ახალგაზდობა პეტერბურგში გაუტარებია, იქ მიუღია განათლება, იქვე შეჰყვარებია ერთი ახალგაზდა ქალი და განუზრახავს ამ ქალის ცოლად შერთვა. კავკასიაში დავითს დიდი მამული ჰქონდა, რომელსაც განაგებდა იმისი უფროსი ძმა სისო, ჯვარის დაწერამდე დავითი კავკასიაში ჩამოსულა ძმასთან მოსალაპარაკებლად და მამულის გასაყოფად, აქ უნახავს თავისი რძალი (ძმის ცოლი) და იმის სილამაზით საოცრად განცვიფრებულა. გადიოდა დღეები და თავადი დავითი პეტერბურგში დაბრუნებას აღარა ჰფიქრობდა თურმე. წერილი წერილზედ მოსდიოდა დანიშნულისაგან, მაგრამ პასუხი არც ერთხელ არ აღირსა თურმე. ბოლოს დანიშნული დავითისა თვით ჩამოსულა კავკასიაში საქმის შესატყობად. მაგრამ ჩამოსვლისათანავე დარწმუნებულა, რომ თავადი დავითი და იმისი რძალი ქრისტინე გაგიჟებით ყოფილან შეყვარებულნი. დანიშნულს, რასაკვირველია, ამის გამო ლაპარაკი გაუბამს დავითთან, მაგრამ ამ უკანასკნელს დაურწმუნებია, რომ ეგ სულ ტყუილია, მე ჩემი რძალი ისე მიყვარს, როგორც ნათესავი, აი გავათავებ საქმეებს და პეტერბურგში წავიდეთო. დავითს ის დღეც დაუნიშნავს, როდესაც პეტერბურგში უნდა წასულიყვნენ. რამდენისამე დღის შემდეგ ძმა დავითისა სისო და დანიშნული დავითისა სადღაც გამქრალან. ყოველსავე ძებნას უნაყოფოდ ჩაუვლია: ვერც თავადი სისო და ვერც პეტერბურგიდგან ჩამოსული ახალგაზდა ქალი ვერსად ვერ უნახავთ. ყველა იმას ამბობდა თურმე, რომ თავად სისოს თავისს ძმის დანიშნული შეუყვარდა და იმასთან ერთად სადღაც დაიმალაო. ამასვე ამბობდნენ თვით დავითი და იმისი რძალი ქრისტინე. მალე დავითს და ქრისტინეს მამული იჯარით გაუციათ და თვითონ კავკასიიდგან რუსეთში წასულან. სამის წლის შემდეგ მოიჯარადრეს განუზრახავს ეზოში ჭის ამოთხრა, დაუწყვიათ მუშაობა და ერთს არშინის სიღრმეზედ კაცი

ძვლები-კი უნახავთ. იქვე უნახავთ ძვირფას თვლიანი ბეჭედი. თავად სისოს ნაცნობებს უთქვამთ, რომ ეს ბეჭედი სისოსიაო. როდესაც თავადი დავითი და ქრისტინე უნახავთ, ეს უკანასკნელნი ყველაფერში გამოტეხილან. უთქვამთ, რომ ჩვენ მოვკალით სისო და ახალგაზდა ქალი, ღამე ერთის მოსამსახურის დახმარებით მიწა ამოვთხარეთ და შიგ ჩავფალით მათი გვამებიო, რათა მოსამსახურეს არ გავეცეთ, ისიც მოვწამლეთ და საჩქაროდ დავასაფლავეთო. პოლიციას მხოლოდ თავადი დავითი დაუპატიმრებია, კნ. ქრისტინეს კი თავი მოუკლავს.

***

10 იანვარს ლონდონში ჩამოუღრჩვიათ ახალგაზდა ქალი ლუიზა მასსე, რომელსაც სასამართლომ ასეთი სასჯელი უკანონო შვილის მოკვლისთვის გადაუწყვიტა თურმე. დილის 7 საათისთვის აუარებელი ხალხი შეკრებილა საპყრობილესთან, სადაც მასსე უნდა დაესაჯათ. ჩამოახრჩეს მასსე სწორედ 9 საათზედ. წინა ღამე ქალს საშინელ ტანჯვასა და შფოთვაში გაუტარებია. მაგრამ მეორე დღეს სრულიად დაწყნარებულა. აი, უკანასკნელი იმისი სიტყვები: „სასჯელი, რომელიც მე გარდამიწყვიტეს, სამართლიანია. ამ სასჯელით ჩემს ცოდვას გამოვისყიდი. ეხლა სინიდისი აღარ მაწუხებს“-ო.

## გამოსადეგი ცნობა

მარმარილოს ფიცარი ასე უნდა გაიწმინდოს: დაუმწვარი კირი საპნიანს წყალში აურიეთ თხლად, ეს ნარევი წაუსვით მარმარილოს და ასე დასტოვეთ 24—30 საათს; შემდეგ გადასწმინდეთ, მარმარილო ჯერ საპნიანის წყლით გარეცხეთ და მერე სუფთა თბილის წყლით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 იანვარი.

**ლონდონი.** ბულლერის დეპეშა, 15 იანვარს გამოგზავნილი, (ეს დეპეშა უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს ამბავს, ვიდრე 13 იანვრისა) შემდეგს იუწყება: „უორრენმა განდევნა მტერი დ დაიჭირა იმ მაღლობის სამხრეთი ფერდობი, რომელიც გაჭიმულია აკტონ-გომსამდე. უორრენი გაჩერდა მტრის მახლობლად, რომელსაც ძლიერი პოზიცია ეჭირა. უორრენის პოზიცია ცუდი გამოდგა, რადგანაც სამხრეთ ფერდობები მეტად დაქანებულია და ამას გარდა, არტილერიის დასადგომი ადგილი არსად იყო და არც წყალი ჰყოფნიდა. დიდის ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი, რომ იერიში მიეტანა სპიონსკოპზედ, რომელიც ჩრდილოეთით უფრო ადვილი მისადგომია, ვიდრე სამხრეთით. ორშაბათს, ღამე, უორრენმა დაიჭირა სპიონსკოპი, მაგრამ დარწმუნდა, რომ იქ გამაგრება შეუძლებელია, რადგანაც წყალი ნაკლებად მოიპოვება. მთელი დღე მტერი ყუმბარებს ისროდა. ჩვენი ჯარი მამაცად ომობდა. გენერალი უდგეტი, რომელიც სპიონსკოპში ჯარს უფროსობდა, დაჭრილ იქმნა. აფიცერმა, რომელმაც იმის შემდეგ უფროსობა მიიღო, 13 იანვარს ღამე გადასწყვიტა პოზიციას თავი მიანებოს, და გათენებამდის გავიდა იქიდგან. მე უორრენის ბანაკში 13 იანვარს მივედი, დილა ადრე, და დავრწმუნდი, რომ მეორედ იერიშის მიტანა უსარგებლო იქმნებოდა, რადგანაც მარჯვენა ფრთე ბურების ჯარისა იმდენად ძლიერი ალმოჩნდა, რომ იმის გარღვევა შეუძლებელი იყო; ამიტომ გადავსწყვიტე ჯარით უკან, სამხრეთით დავხეულიყავი. 13 იანვარს, 12 საათზედ ჯარი უკვე ტუგელის სამხრეთით იყო.

**ლორენცო-მარკეზი.** ბურების დეპეშა, ტუგელიდგან 12 იანვარს გაგზავნილი, რომელიც, უთუოდ, სპიონსკოპთან მომხდარ ბრძოლას შეეხება, იუწყება, რომ დღეს, ოთხშაბათს, დიდი ბრძოლააო. ბურების რაზმი თან-და-თან წინ მიიწევს. 150 ინგლისელი ტყვედ ჩაიგდეს ბურებმა და უმთავრეს ბანაკში გაგზავნეს. ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა.

ბურების ბანაკიდგან მოდდერ-სპრუიტთან იუწყებიან (13 იანვარი), რომ ინგლისელების მხრივ მოკლულ იქმნა 1500 კაციო.

**ვენა.** როგორც „Neue Freie Presse“ იუწყება, დიპლომატიურ წრეებში სერიოზულ თვალით უყურებენ ჩინეთში მომხდარ ამბებს და ჰფიქრობენ, რომ სხვა სახელმწიფონი საფრანგეთის მაგალითს მიჰბაძავენ და გემებს გაჰგზავნიან თავიანთ ქვეშევრდომთა დასაცველად.

**ბერლინი.** ერთის გაზეთის თანამშრომლისთვის ლეიდს უთქვამს, რომ ომი დიდხანს გრძელდება, მაგრამ ტრანსვაალი მაინც პირველი არ მოითხოვოს ზავის ჩამოგდებასაო.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია კოლენზოდგან მიღებული შემდეგი დეპეშა: „ლუკა მეიერის რაზმი გარს შემოერტყა კარგა მოზდილ ქვეითა რაზმს, რომელიც ბეტუნოსთან იდგა; ამასთან ინგლისელების მხრივ მოკლულ და დაჭრილ იქმნა 20 კაცი და ტყვედ წაყვანილ—15 კაცი.

**ნანტი.** გენერალი მერსიე, 703 კენჭით სენატორად იქმნა არჩეული რიომის წინააღმდეგ, რომელმაც 287 კენჭი მიიღო.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგ.“ მოდდერ-სპრუიტთან მყოფ ბურების ბანაკიდგან შემდეგს იუწყებიან (13 იანვარი) სპიონსკოპის აღების შესახებ: „ინგლისელები ბურებს მოულოდნელად დაეცნენ. მათ ორი ახლო მდებარე გორაკი დაიჭირეს. ინგლისელებმა ხიშტებით იერიში მიიტანეს და გორაკის ფერდობები დაიჭირეს. მაგრამ ბურებმა მალე გარეკეს იქიდგან. ამავე დროს ბურებმა იერიში მიიტანეს მთავარ გორაკზედ, სადაც ინგლისელნი თხრილების მეორე მხარეს იდგნენ. პირველ თხრილებთან მყოფნი ინგლისელნი, რიცხვით 150 კაცი, დაემორჩილნენ. მეორე თხრილთან მყოფ ინგლისელებმა-კი სასტიკი ბრძოლა გაუწიეს, მაგრამ განდევნილ იქმნენ. ინგლისელებს ამ ბრძოლაში 1500 კაცი მოუკლეს. ბურებმაც ძალიან იზარალეს. პრეზიდენტი შტეინი, რომელიც მოდდერ-სპრუიტის ბანაკში იყო, უკანვე დაბრუნდა.

**ხარკოვი.** უნივერსიტეტმა იდღესასწაულა თავისს არსებობის 95 წელი.

**ლონდონი.** გაზეთი „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ შანახაიდგან, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადოება, რომელიც, როგორც სჩანს, პროგრესიულ დასის წარმომადგენელი უნდა იყოს, სცდილობს ინგლისის დახმარება მოიპოვოს იმპერატორის კუან-სუს სასარგებლოდ. ამას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს.

**ლონდონი.** გაზეთ „Times“-ს სწერენ, რომ რობერტსმა უნდა გადასწყვიტოს, ეცადოს კიდევ თუ არა ყველა იმის შემდეგ, რაც მოხდა, ლედი სმიტის განთავისუფლებას? შეიძლება ადრე ან გვიან ისეთი დამარცხების ამბავი მოვიდეს, რომელიც მხოლოდ ამერიკელების მიერ იორკტუანის დაპყრობას უდრიდეს. „Times“-ი ურჩევს მთავრობას იზრუნოს ეხლავე და გაჰგზავნოს 50,000 კაცი და ზომები მიიღოს სხვა 50,000 კაცის გასაგზავნად.

„Morring Post“-ი ამბობს, რომ საჭიროა უპირველეს ყოვლისა მომზადებულ იქმნას ფლოტი, შეიარაღებულ მილიცია და გაწვეულ იქმნან თავისუფალნი მეომარნი. ხალხს ფლოტის იმედი აქვს იმ შემთხვევაში, თუ უცხო სახელმწიფო ჩაერევა საქმეში.

ფაზეთ „Times“-ს ლორენცო-მარკეზიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ სასანიტარო რაზმის წევრები, რომელნიც „Gironde“-თ მოვიდნენ, ტრანსვაალისაკენ გაუდგნენ გზას.

**ლონდონი.** პეკინიდგან „რეიტ. სააგენტოს“ ატყობინებენ, აქ ჰფიქრობენ, რომ იმპერატრიცის მიერ განზრახულ ცვლილებას ჩინელნი მშვიდობიანად მიიღებენო.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა, რომ ის ზარალი, რომლის შესახებაც 14 იანვარს ბულლერი იუწყებოდა, ლიტლტოკის ბრიგადას მოსვლია; ამ ბრიგადას კი, რამდენადაც სამინისტრო უწყის, მონაწილეობა არ მიუღია სპიონსკოპთან მომხდარ ბრძოლაში. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ეს ზარალიც სხვაა.

18 იანვარი

**ლონდონი.** ბულლერის უკან დახევამ მეტად ცუდად იმოქმედა აქ, რადგანაც ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ მან ლედი-სმიტის განთავისუფლება შეუძლებლად სცნოო. ზოგიერთი გაზეთები თხოულობენ, რომ ლედი-სმიტი ბედის ანაბარა იქმნას დატოვებული და შეუდგნენ პირველ გეგმის განხორციელებას ე. ი. ჯერ ორანჟეს რესპუბლიკას შეესივნენ.

**პრეტორია.** 14 იანვარი. პრეზიდენტი შტეინი და ორანჟეს რეს. აღმასრულებელ საბჭოს წევრი ფიშერი დღეს აქ მოვიდნენ. სადგურზედ მათ კრიუგერი და მოხელენი დაჰხვდნენ. შტეინი და ფიშერი კრიუგერს ესტუმრნენ. ხალხი აღტაცებით მიეგება სტუმრებს.

**ლონდონი.** დედოფალი ვიქტორია თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოში ოსბორნს. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ის ხმა, ვითომ ლედი-სმიტი აიღეს ბურებმა, სიმართლეს მოკლებულიაო. როგორც ამბობენ, სეფე სიტყვაში მწუხარება იქმნება გამოცხადებული იმის გამო, რომ ბურებმა მშვიდობიანობას დაარღვიესო.

ბულლერი დეპეშით იუწყება, რომ სპიონსკაპთან მომხდარ ბრძოლაში 12 იანვარს მე-5 დივიზიის და საკავალერიო ბრიგადის აფიცერთა შორის მოკლულ იქმნა 22 კაცი, დაჭრილ 20 და ექვსიც ტყვედ წაიყვანეს ბურებმაო. დაჭრილთა შორის იყვნენ გენერალი უდგეტი, ერთი პოლკოვნიკი და ორი მაიორი.

სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა რობერტსის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ცვლილება არ მომხდარაო.

**ჰამბურგი.** სალამოთი ნავთ-სადგურში გემი „Exp.“ და „ალტონა“ ერთმანეთს დაეჯახნენ. ამ უკანასკნელზედ 100-მდე მგზავრი იყო. ეს გემი 5 წუთის შემდეგ ჩაიძირა. ჰფიქრობენ, რომ იქვე მდგომმა გემებმა ყველა მგზავრები გადაარჩინესო.

**ნიუ-იორკი.** სან-ლუისა და მინეაპოლისში ყრილობები მოხდა ბურების სასარგებლოდ.

**ლონდონი.** „Times“-ს რენსბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ 14 იანვარს, რომ გუშინ გენერალმა კლემენტსონმა დემონსტრაცია მოახდინა, რომელსაც ბრძოლა მოჰყვაო. ჯარმა გორაკს დაუშინა ყუმბარები. ბურებმა ყუმბარებითვე გასცეს პასუხი. ბურების პირველმა ყუმბარამ მოჰკლა ერთი აფიცერი. ინგლისის ქვეითა რაზმმა ამის შემდეგ უკან დაიხია, მაგრამ 200 ბური დაედევნა მათ. ბურები იმ დრომდე მისდევდნენ, ვიდრე დამალულმა სამმა როტამ სროლა არ დაუწყეს. მაშინ ბურები დაბრუნდნენ. ინგლისელებს მოუკლეს ერთი კაცი და დაუჭრეს 2.

ფრენჩი გუშინ კოლსბურგიდგან 7 მილის სიშორეზედ თავს დაესხა ბურებს, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდა, რადგანაც შეიტყო, რომ მტერს ახალი ჯარი მიეშველაო.

## შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ტობანიერის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველის ვლადიმერ ნაცვლიშვილისაგან მივიღეთ 13 მანეთი, მის მიერ თავისს ნაცნობებს შორის შეგროვილი. შემომწირველთა სია: დიმიტრი ნაფეტვარიძემ 2 მან., ტობანიერის ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეებმა 2 მან. 40 კ., სასწავლებლის ზედამხედველმა ვლადიმერ ნაცვლიშვილმა 1 მან., მასწავლებელმა აკაკი ნაცვლიშვილმა 1 მ., გულენტია ნაცვლიშვილისამ 1 მან., ქრისტეფორე ნაცვლიშვლმა 1 მან., ალექსანდრე ნაფეტვარიძემ 1 მ., ილია მილორავამ 50 კაპ., მიხეილ ფარცხალაძემ 50 კაპ., ანდრია ნაფეტვარიძემ 50 კაპ., პორფირე ბურკაძემ 40 კაპ., ნესტორ სანიკიძემ 30 კაპ., იასონ ღვინიანიძემ 30 კაპ., ივანე გეგიძემ 25 კ., მიხეილ ფაილაძემ 25 კაპ., ირაკლი სულაბერიძემ 20 კაპ., იესე თევზაძემ 20 კაპ., ფილიპე თევზაძემ 20 კ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ახალციხის ქართულმა წიგნთ-საცავმა და სამკითხველომ მიიღო შემოწირულებანი: პოდპრაპორშჩიკი ს. ყურაშვილისაგან 40 ცალი რუსულ-ქართული წიგნები; რაფიელ იაკობის ძის ალელიშვილის მიერ მიგროვილი, სამკითხველოსათვის საკუთარი სახლის შესაძენად, 27 მან. 20 კ., (ეს შემოწირულება მივიღეთ ენკენისთვეში), და იმავე საგნისათვის ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილისაგან 5 მან. სამკითხველოს სამზრუნველო დიდს მადლობას უძღვნის ბ-ნ შემომწირველთ. ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია გამოვაცხადოთ, რომ ჩვენის სამკითხველოსათვის გადაწყვეტილი გვაქვს შევიძინოთ საკუთარი სახლი. ამისათვის გარდა ზემოაღნიშნულ შემოწირულებათა ერთმა პატივცემულმა კაცმა შემოსწირა აგრეთვე სასახლე ადგილი. იმედი გვაქვს, სხვებიც აღმოჩნდებიან მადლიანნი და ამ კეთილის საქმისათვის არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს.

სამკითხველოს გამგე კონსტანცია მეფისაშვილის

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

20 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო კონებათა რწმუნებულის ეჯუბოვისა ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ მანუჩარ ბასილის ძის რუსიას მიერ დაწყებულ დავის გამო.

სენატის ბრძანებით სიმონ ნადირაძის მიერ ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

გიორგი ადანიასი იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქმნას დავა 1890 წლის 5 მაისის 600 მან. სესხის ქაღალდის სიყალბის შესახებ.

დავით ბაქრაძის დავა, დაწყებული მღვდელ ზაქარია და გლეხ კიკოლა ბერუკაშვილებისა, გიგო სვირტლაძისა და სხ. წინააღმდეგ მამულის შესახებ.

დავით მერაბის ძის ზარაქაძისა და დავით მეძმარიაშვილისა სიყალბის შესახებ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი

22 იანვარი.

იმ დავის საქმე, რომელიც აღიძრა: 1) გორის მაზრის სოფ. ატოცის გამიჯვნის დროს და 2) ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას მე-2, 4, 13, 60 ნაწილების გამიჯვნის დროს (საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ).

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გეგენავას წინააღმდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—66)